ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 4

სხდომის ჩატარების დრო:

17 ივნისი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეოთხე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე (დისტანციურად), ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, გ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე ე, არჩაია.

სულ: 35 წევრიდან 30 წევრი

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: კ.გურული, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: დ.ერემეიშვილი, ი.უგულავა და ი.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უროსი, ბატონი ი.ჟორჟოლინი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი - ბატონი ი.გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი კ.კუხიანიძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები, ქუთაისის დემოკრატიის სკოლის კოორდინატორი, ბატონი მ.ჩაფიჩაძე.

სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-4 სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარდგენამდე გააკეთა განცხადება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, **ბ.ხამაშურიძის** საკრებულოს სხდომის მუშაობაში დისტანციურად ჩართვის თაობაზე: „ჩვენს კოლეგა, ბესიკ ხამაშურიძეს დილით გამოუვლინდა „კოვიდ-19“ -ის სიმპტომები. ამის გამო, ის სხდომას ფიზიკურად ვერ ესწრება, მაგრამ ჩვენ გვაქვს უფლება, ის საპატიო მიზეზის გამო, სხდომის მუშაობაში ჩავრთოთ ონლაინ რეჟიმში.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-4 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა საკრებულოს რიგგარეშე მე-4 სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის პირველადი სტრუქტურული

ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის
ხელმძღვანელი

2. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

3. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი კარლო კუხიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს რიგგარეშე მე-4 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს

30-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი; კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 11-მა წევრმა, ბატონებმა: გ.შუშანიამ, გ.კილაძემ, კ.გაბუნიამ, ლ.შალამბერიძემ, თ.მესხმა, ბ.ბრეგაძემ; ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ქ.ხურციძემ, დ.ფხაკაძემ, ა.კოხრეიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-4 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 17 ივნისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის პირველ მუხლში ჩაემატა 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილების სსიპ „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნების თარიღი და მინიჭებული კოდის ნომერი),** ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დ.ნიშნიანიძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.ნადირაძე:** „როგორც იცით, ქუთაისის ხელბურთის გუნდი გახდა საქართველოს ჩემპიონი. მინდა, ჩვენი სახელით მივულოცო მათ. ეს მოხდა პირველად ჩვენი ხელბურთის ისტორიაში. ეს გუნდი ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდება. კლუბი

შეიქმნა 2015 წელს და შედეგი მივიღეთ. მერიის გადაწყვეტილებით, სტიმულირებისთვის, ერთი თვის დამატებითი ხელფასი მიეცა გუნდს ჯილდოს სახით და მე მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ მერს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ვუერთდები მილოცვას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „ვულოცავ გამარჯვებას ხელბურთელებს, მაგრამ ამავდროულად მინდა ჩემპიონობა მივულოცოთ კალათბურთელებსაც. როგორც მე მაქვს ინფორმაცია და იმედია ვცდები, მათ წახალისებას ვაპირებთ ნახევარი თვის ხელფასით. ისინიც ჩემპიონები არიან და მათაც არანაკლები შრომა გადაიტანეს, მით უმეტეს, კონტრაქტებით ორი თვე მათ ხელფასები არ ჩაერიცხებათ. სამართლიანები რომ ვიყოთ, მათაც უნდა დავუმატოთ თანხა, იმიტომ, რომ მათ ნამდვილად დაიმსახურეს და უსამართლობა იქნება ერთ გუნდს სრულად მივცეთ და მეორეს ნახევარი ხელფასი. ორივე იმსახურებს ჩემი აზრით. რაც შეეხება ცვლილებების ნაწილს. ჩვენ აქ ვსაუბრობდით რეორგანიზაციაზე და რეორგანიზაციის მოტივატორად მერიის მხრიდან დასახელდა ეკონომია ხარჯებში, რომ მოხდებოდა ოპტიმიზაცია, მაგრამ ვხედავთ, რომ 480 ათასი ლარით ვზრდით ახალი ააიპ-ის დაფინანსებას და ეს იწვევს ბიუჯეტის გაზრდას. საბოლოოდ, ჩვენ მოგვიწევს არა ბიუჯეტის შემცირება და ადმინისტრაციული ხარჯების სხვადასხვა პროექტებში გადასროლა, არამედ, პირიქით, ზრდა, რაც რეორგანიზაციის გაცხადებულ მიზნებს არ ემთხვევა. მეორე არის მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარებაზე დამატებით კიდევ 700 ათასი ლარის დამატება. ჩემი გამოცდილებით, ეს არ იქნება უკანასკნელი ცვლილება ამ მიმართულებით და კიდევ მოგვიწევს თანხის დამატება. მინდა, ქალის მერს ვკითხო, როდემდე უნდა ვიხადოთ ქუთაისელებმა, იმის გამო, რომ თავის დროზე მოხდა გაუმართავი ავტობუსების შეძენა და პირველ 9 თვეში ოფიციალურად მოხდა ამ ავტობუსების შეკეთება, კიდევ ბევრი იყო შესაკეთებელი, მაგრამ ეს გამოიწვევდა ავტოპარკის გაჩერებას. ეკონომიკის საკითხთა კომისიის წინა თავმჯდომარის დროს, ჩვენ შევთანხმდით, რომ გასვლით შეხვედრას ჩავატარებდით სატრანსპორტო კომპანიასთან,

რაც სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა. 22 მილიონი ლარი ვალად ისედაც აწევს ქუთაისელებს ამ ავტოტრანსპორტის შესაძენად, სადამდე უნდა ვამატოთ, ვიხადოთ და რამდენის დამატებაა კიდევ გეგმაში. ახალი მუნიციპალური ტრანსპორტი სულაც არ არის ცუდი, ნამდვილად კომფორტულია, მაგრამ აქ საუბარია გაუმართავ ავტომობილებზე, რომლებსაც უნდა ჰქონოდათ რამდენიმეწლიანი გარანტია და ჩამოყვანის დღიდან ფუჭდება. შეილება სესხის გადახდა უფრო დიდხანს მოგვიწიოს, ვიდრე ეს ავტობუსები იმუშავებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „მოგესალმებით ყველას. პირველ რიგში მეც ვუერთდები მოლოცვას. დიახ, ხელბურთელებთან დაკავშირებით ჩვენ ასე გადავწყვიტეთ. რაც შეეხება კალათბურთელებს, 70-% მათ ხელშეკრულებაში უდევთ, მიღებული აქვთ და 30%-ის დამატებაზე ჩვენ გადაწყვეტილება მიღებული გვაქვს. მათაც ერთი სრული ხელფასი გამოუვათ, ასე, რომ ჩვენ ყველა ერთნაირ პატივში გვყავს, კალათბურთელებიც და ხელბურთელებიც და ისინი სრულ ხელფასს მიიღებენ. ასევე, ვცილობთ, რომ ჩვენი გუნდის მწვრთნელს წინასწარ გავუფორმოთ ხელშეკრულება, რომ ისევ დარჩეს ჩვენთან და კიდევ დიდი მადლობა მას, რომ გუნდი ასეთ დიდ წარმატებამდე მიიყვანა. ტრანსპორტთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ აუდიტის სამსახურის დასკვნაში დაფიქსირებული რიცხვი არ გახლავთ ავტობუსების დაზიანებისა და სერვისზე შესვლის თემა. ეს არის ის საგარანტიო შესვლები, რომელიც სავალდებულოა ავტობუსისთვის. თქვენ დათვალეთ 60 ავტობუსის ერთხელ შესვლა ხუნდების შეცვლაზე, მეორე შესვლა ზეთის გამოცვლაზე, მესამე შესვლა ფილტრების გამოცვლაზე და 60 გამოდის. ეს არ არის ავტობუსების დაზიანების გამო სერვისზე შესვლის მომსახურების რაოდენობა. ეს არის საგარანტიო სერვისზე შესული ავტობუსების რაოდენობა, რა თქმა უნდა, დაზიანებებიც იყო, ამას არ უარვყოფთ, მაგრამ არა - 954. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ავტობუსები ფუნქციონირებენ, ისინი ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობენ და რაღაც დაზიანებები შეიძლება იყოს. ამაზე გარკვეული საგარანტიო ვალდებულებები აქვს რამდენიმე კომპანიას. თანხა, რომელიც ემატება, გვჭირდება ახალი მიკროავტობუსებისათვის, რომლებიც შევიძინეთ და ვამზადებთ ხაზებზე გასასვლელად. რამდენიმე ხანში იქნება ამ

მიკროავტობუსების პრეზენტაცია, რომლების მოწესრიგებასაც სჭირდება „ჯი პი ეს ები“, ტაბლოები, გადახდის სისტემები. 10 ახალი „FORD“-ის მარკის მიკროავტობუსი, რომელიც ჩვენ უკვე შევიძინეთ, ქალაქშია და ემზადება იმისათვის, რომ ხაზებზე გავიდეს. ეს არის უმაღლესი ხარისხის მიკროავტობუსები, როგორებიცაა თბილისში. ისინი იმოძრავებენ ისეთ მარშრუტებზე, რომლებზეც ვერ დადიან ავტობუსები. ესენია: წყალწითელა, საფიჩხია და ასე შემდეგ. ასე, რომ ეს თანხა არ არის ვინმეს ხელფასის თანხა, ეს არის თანხა ახალი მიკროავტობუსების მოსამზადებლად და ახალი სისტემების შემოსატანად. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ქალაქში შემოსულია კომპანია, რომელიც ელექტრო ტაბლოებს დაამონტაჟებს, ასევე, ჩვენს ავტოპარკში იწყება ცენტრალური მართვის პულტის მოწყობა, სადაც იქნება ყველა ტრანსპორტზე ინფორმაცია. ამ სისტემაში ჩაერთვებიან ეს მიკროავტობუსებიც. ტრანსპორტის კუთხით ძალიან ბევრი წინსვლა გვაქვს და ამას გარკვეული ხარჯი სჭირდება. ტრანსპორტმა კიდევ უფრო გამართულად უნდა იფუნქციონიროს ჩვენს ქალაქში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „აუდიტის დასკვნაში ცალსახად წერია, რომ სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაზიანებებზეა საუბარი. შეფასებაში წერია, რომ ტრანსპორტი არის გაუმართავი, რომელიც იქნა შეძენილი და შემდეგ ჩაბარებული ქუთაისში. ხელზე არ მაქვს, მაგრამ ყველასთვისაა ცნობილი აუდიტის დასკვნა, რომელმაც ბევრი იარა და სერიებადაა გასული ტელევიზიაში. ფურცელი და აბზაცი არაა, სადაც საუბარი არაა დარღვევებზე. თუ ისინი არასწორ დასკვნას აკეთებდნენ, ამისთვის არსებობს შეკითხვების ეტაპი, წინასწარ მოდის ხოლმე სავარაუდო დასკვნა და არის დრო იმისა, რომ ემუშაო და თუ რამეში არ ეთანხმები, შენი არგუმენტები წარადგინო. თუ აუდიტი შეიყვანა შეცდომაში, მაშინ სამსახურის უფროსის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ეს აუდიტი ხომ არ არის რომელიმე არასამთვრობო ან ჟურნალისტური გამოძიების შედეგი. ეს არის „ქართული ოცნების“ პარლამენტის უმრავლესობის მიერ დამტკიცებული აუდიტის სამსახურის ოფიციალური დასკვნა. „ქართული ოცნება“ ნდობას უცხადებს ამ ინსტიტუტს და ამ დასკვნის საფუძველზე პროკურატურამაც დაიწყო გამოძიება და არ

უთქვამს, რომ ისინი ტყუიან. დასკვნაში წერია, რომ ეს ტრანსპორტი არის გაუმართავი და მოხდა გაუმართავი ტრანსპორტის ჩაბარება. შესაბამისად, ქუთაისელებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი ბიუჯეტიდან, მათი ჯიბიდან მოხდება ამის დაფარვა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ბატონო სოსო, მესმის და რეალობასთანაა კავშირში თქვენი ნათქვამი, რომ 954 - ჯერ შეიძლება არ შესულიყო ეს ავტობუსები შეკეთებაზე, მაგრამ თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენჯერ შევიდა და გარდა ამისა, ხელშეკრულებაში მკაფიოდ იყო მითითებული, რომ მომწოდებელ კომპანიას, თუ კარგად მახსოვს, დღიურ განაცდურზე 100 ევრო უნდა გადაეხადა და მაინტერესებს რამდენი ამოიღეთ ამ დღიური განაცდურის?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ციფრის უზუსტობაზე მეტყველებს ის, რა პერიოდსაც მოიცავს აუდიტის დასკვნა. საუბარია 2019-2020 წლებზე. ჩვენ, ამ ავტობუსების პირველი ნაწილი მივიღეთ 2021 წელს, წინასაარჩევნოდ. ამასთან დაკავშირებით პასუხი მივწერეთ, მაგრამ დარჩა ის რაც იყო მოცემულობაში. 10 ავტობუსი, რომელიც შემოვიდა დეკემბერში ამ რაოდენობით ვერ შევიდოდა მომსახურებაზე, მაშინ უნდა ჩამოსულიყო დაშლილი ავტობუსი. მაშინ გვყავდა 10 ავტობუსი და ისიც ჩამოყვანილი და არა მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარებული. ეს მოხდა სრული რაოდენობის ჩამოყვანის შემდეგ. რაც შეეხება ჯარიმას, დიახ, ეს არის მოცემულობა, რომელიც არის მუნიციპალური განვითარების ფონდსა და კომპანიას შორის. ეს წმინდად რეგულირდება ამ ორი სუბიექტის მიერ. ასე, რომ ქუთაისის თვითმმართველობას აქვს თემები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებასთანაა დაკავშირებული."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა): „მინდა დავაზუსტო ერთი საკითხი, შეიძლება მე გამომრჩა და საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელთანაც ურთიერთობა მაქვს, მეკითხება. დღეს, როდესაც მერიის ეზოში შემოვედი თბილისის დინამოს 90-იანი წლების სტადიონზე მეგონა თავი „fiat"-ის ფირმის ავტომობილები რომ თამაშდებოდა. თუ

შეიძლება აგვიხსნათ ეს ავტომობილები გვაჩუქეს, მოვიგეთ თუ რა ფორმით გადმოგვცეს? მე როგორც ვიცი, ამ ავტომობილებით უკვე სარგებლობენ შესაბამისი სამსახურები და ამ ავტომობილების ხარჯი თუ არის გათვალისწინებული ბიუჯეტში, რომელშიც უკვე მე-4 ცვლილება შეგვაქვს და ეს ის ბიუჯეტია, რომელზეც პრემია ავიღეთ იმიტომ, რომ კარგი ბიუჯეტია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ორ რამეს გავუსვამ ხაზს. აქ რამდენჯერმე იქნა ნახსენები აუდიტის დასკვნა. ამ დასკვნასთან დაკავშირებით საკრებულოს გვქონდა ჩვენი პოზიცია, რომ უნდა გვემსჯელა აღნიშნულთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც საგამოძიებო სტრუქტურა არის ამ საკითხით დაინტერესებული და ჩვენი ოფიციალური, წერილობითი ინფორმაციით მიმდინარეობს აუდიტის დასკვნაში ასახულ მიგნებებთან დაკავშირებით გამოძიება. მანამ, სანამ არ დასრულდება გამოძიება და სრულად არ გასცემს პასუხს იმ კითხვებს, რომელიც ასახულია აუდიტის დასკვნაში, ვფიქრობ, რომ მანამ თავი უნდა შევიკავოთ ზედმეტი დამოკიდებულებებისგან. ამ საკითხის ირგვლივ ბევრი ვისაუბრეთ, თუმცა ჩემთვის, როგორც ერთი მოქალაქისთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია რა საკითხზე იმსჯელებს გამოძიება და რა გადაწყვეტილებას მიიღებს საბოლოოდ. არა ერთი სტატისტიკით აღინიშნა, რომ ამ გამოძიების მიმართ არსებობს დიდი ნდობა საზოგადოებაში. ამიტომ, ვფიქრობ, რომ დანარჩენზე, ჩვენ ვისაუბრებთ გამოძიების შემდეგ კანონისა და შესაბამისი რეგლამენტის გათვალისწინებით. რაც შეეხება ბიუჯეტის ნაწილს. ბიუჯეტის დაგეგმვა არის ცოცხალი პროცესი, რომელსაც გააჩნია ძალიან დიდი ინტერ აქცია და ინკლუზიური პროცესის მომცველია. ამავდროულად, შესრულების ნაწილშიც არსებობს პრაქტიკა, რომ ხარჯვის ნაწილში ცვლილებები არის მოსალოდნელი. ამ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებშიც შეგვაქვს ცვლილებები, სამწუხაროდ, თქვენგან კომენტარი ვერ გავიგე ბატონო დეპუტატებო, ოპოზიციას ვგულისხმობ. ახალი პროგრამების შექმნის ნაწილს გავუსვამ ხაზს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. მარტო იმ ნაწილზე შეგვიძლია ბევრი ვისაუბროთ, რომელიც შეეხება სოციალურ ნაწილს და ეს ეხება ბავშვთა კოდექსით გათვალისწინებულ დელეგირებულ უფლებამოსილებებს და ამ პირობებში კოდექსით გათვალისწინებული ორი ახალი პროგრამის შექმნას, რომელიც

მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი მომავალი თაობისთვის და მათზე იქნება ორიენტირებული და ეს პროგრამები გრძელვადიან პერსპექტივაშია უზრუნველყოფილი გარკვეული პირობებით. ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხება ზრდას. ეს ზრდა მოიცავს სხვადასხვა ფონდებიდან დასაფინანსებელი პროექტების ფისკალურ რესურს და ეს პირდაპირაა დაკავშირებული ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან. მე მოხარული ვარ, რომ რამდენიმე რეკომენდაცია, ინფრასტრუქტურულ ნაწილში, სწორედ საკრებულოს მხრიდან იყო წასული. ეს ეხება იგივე ტურისტული ატრაქციების მშენებლობას და ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობას. სწორედ ამაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი. ბატონმა ბესომ აქცენტი გააკეთა ავტოპარკზე. მე არა ერთხელ მითქვამს და არ დამიმალავს, რომ ის ავტოპარკი, რომელიც დღემდე ემსახურებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა და მასზე დანახარჯები 2017 წლიდან 2021 წლამდე შეგიძლიათ ნახოთ რამდენი იყო. მერე თავი შევიკავეთ და აღარ ვხარჯავდით ადმინისტრაციულ რესურსს მათ შეკეთებაზე, ვინაიდან, საუბარი იყო კოლოსალურ თანხებზე. 2021 წლის დანახარჯი ექსპლუატაციის ნაწილში არის მხოლოდ 2200 ლარი. ექსპლუატაციის ხარჯების დაზოგვისთვის, მათ შორის, საწვავის ხარჯის დაზოგვისთვის, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ძველი ავტოპარკის გასხვისებაზე. ორი წერილია გაგზავნილი აღმასრულებელ რგოლში, მათ შორის ექსპერტიზაში, რომ მოხდეს შეფასება ძველი ავტოპარკის და გასხვისდეს. მესმის, რომ ამ საკითხებზე საუბარი თქვენი პოლიტიკური დღის წესრიგია და საზოგადოების გარკვეული ფენებისკენაა მიმართული, თუმცა გარკვეული სენსიტივები არსებობს ამასთან მიმართებაში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „პროკურატურას გამოძიება აუდიტის მიგნებებზე არ დაუწყია. წერილში კონკრეტულად წერია ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების მიერ 2019-2020 წლებში სამსახურებრივი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე, რამაც კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საუბარი იმაზე კი არ არის, როგორ

იზრდება, საუბარია როგორ იხარჯება. საზოგადოებრივი ინტერესია, რომ სწორად დაიხარჯოს ეს თანხები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გამოძიება მიმდინარეობს 332-ე მუხლით და კონკრეტული აუდიტის დასკვნაა გამოძიების დაწყების საფუძველი. ასე ჩამოვაყალიბოთ: აუდიტის დასკვნაში არსებულ სავარაუდო სამოხელეო დანაშაულებებზე პროკურატურაში 332-ე მუხლით მიმდინარეობს გამოძიება. გეთანხმებით ბატონო გიგა, მიგნებებზე არა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: გ.კილაძე, კ.გურული, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, ბ.ბრეგაძე, ქალბატონი ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, წინააღმდეგი: 9 წევრი, ბატონები: გ.შუშანია, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, თ.მესხი; ქალბატონები: ხ.არველაძე, ნ.ბიბილეიშვილი, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, დ.ნიშნიანიძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის **N 33 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N33** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა**

კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 17 ივნისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის სათაურში, პრეამბულაში, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 მუხლებში, N1 დანართის პირველსა და მე-4 მუხლებში, N2 დანართის პირველ მუხლში აღნიშნული ყველა კანონის წინ, დაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონი“, შესაბამისი კონტექსტით; დადგენილების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი შეიცვალა ამავე კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით; დადგენილების პროექტის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები ჩამოყალიბდა ამ დადგენილების პროექტის N4, N5 და N6 დანართების სათაურების შესატყვისად; დადგენილების პროექტის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 12. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 25 ნოემბრის N254 დადგენილება“; დადგენილების პროექტის N1 დანართის მე-2 მუხლის მე-2, მე-3, მე-5 პუნქტებსა და N2 დანართის მე-5 პუნქტში ჩაემატა ფრაზა: „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი“; დადგენილების პროექტის N2 დანართიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი: „მუხლი 1.“ ; შეიცვალა დადგენილების ამოქმედების ვადა. გამომდინარე აქედან, დადგენილების პროექტის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 17 ივნისიდან“**), ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.შუშანია, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, ბ.ბრეგაძე, ქალბატონი ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 6-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, თ.მესხმა; ქალბატონებმა: ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, ქ.ხურციძემ, დ.ფხაკაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის **N 34 დადგენილების** პროექტში.

(„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინის - ტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინის-ტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N 34** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის**

საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2022 წლის 17 ივნისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის დანართიდან განმეორების გამო ამოღებულ იქნა მე-19 პუნქტი; აღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების პროექტის დანართის მე-14 პუნქტის გასწვრივ, მე-4 გრაფაში რიცხვი: „946,194.25“, შეიცვალა რიცხვით: „945,194, 00“; გასწორდა საბოლოო ჯამი, კერძოდ, რიცხვი: „18, 716, 598 .70“, შეიცვალა რიცხვით: „17, 770, 404.45“),** ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **კ.კუხიანიძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე მინდა ქალბატონო ხათუნა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, რომ მონაწილეობა მიიღეთ ამ საკითხის განხილვაში. აღნიშნულ ნუსხას ემატება ორი პროექტი. ერთი მათგანი გახლავთ ე.წ. „კიკვიძის ბაღი“. ვგეგმავთ, ამ სკვერის რეაბილიტაციის პროექტს. ძალიან მნიშვნელოვანი შეთანხმება იქნა მიღწეული ქალაქის მერთან, რომელსაც აუცილებლად გავაცნობთ საზოგადოებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩვენ, ამ საკითხზე, გუშინ, კომისიის სხდომაზე ვისაუბრეთ. თუ სკვერის რეაბილიტაციას ვახდენთ, აუცილებლად უნდა მოხდეს წითელ არმიელის - ვასილ კიკვიძის ძეგლის დემონტაჟი. არგუმენტად არ გამოდგება, რომ ეს ადამიანი არ მონაწილეობდა საქართველოს გასაბჭოებაში. ის აქტიურად მონაწილეობდა უკრაინის გასაბჭოებაში. მე, ჩემს ფრაქციას და ბევრ ქუთაისელს მიგვაჩნია, რომ კიკვიძის ძეგლი ქუთაისში არ უნდა იყოს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „პირდაპირ გეტყვით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად ნათელი პოზიცია გაგვაჩნია. რეაბილიტაციის პროექტში აუცილებლად მოხდება აღნიშნული ძეგლის დემონტაჟი. მე კარგად მახსოვს, ამ თემაზე წლების მანძილზე გარკვეული დისკუსიები. არსებობს კანონი საბჭოთა სიმბოლიკასთან და კავშირებით, ამას ემატება თავისუფლების ქარტია, გარდა ამისა, წინა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ერთ - ერთი რეკომენდაცია გახლდათ ეს თემა, ამიტომ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ როდესაც მოხდება სკვერის რეაბილიტაცია, აუცილებლად მოხდება სკვერის დემონტაჟი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „როდესაც საბჭოთა სიმბოლიკაზე ვსაუბრობთ, გაითვალისწინეთ, რომ ამ შენობასაც ამშვენებს საბჭოთა სიმბოლოები."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ამ შენობაზე ცალკე ვისაუბროთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „ძეგლი, რომელიც იქ დგას, არ არის მიზანშეწონილი, რადგან კანონთან არ არის თანხვედრაში. გარდა ამისა, არც არის იქ მისი ადგილი. ძეგლის დემონტაჟთან ერთად, შევისწავლით მოსახლეობის აზრს, რა უნდა განთავსდეს იმ ადგილზე. რაც შეეხება ვასილ კიკვიძის ძეგლს, ის განთავსდება გალერიის ეზოში, სადაც კომუნისტურ პერიოდში შექმნილი ძეგლებია თავმოყრილი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს საკითხი, თუ რა უნდა განთავსდეს იმ სკვერში, აუცილებლად გახდება საზოგადოების განსჯის საგანი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, **გ.შუშანია:** „ძალიან კარგია, რომ ვასილ კიკვიძის ძეგლის დემონტაჟი იგეგმება. მას ჩვენს დაძმობილებულ ქალაქ ჟიტომირში უამრავი უბედურება აქვს დატრიალებული. წინა მოწვევის საკრებულოში ჩვენ გავაჟღერეთ იდეა, რომ აღნიშნულ სკვერში განთავსებულიყო რუსთაველის ძეგლი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლ.შალამბერიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ვინაიდან, ეს სკვერი მდებარეობს გამსახურდიას გამზირზე, ჩემი იდეაც არის და ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობის, რომ იმ ტერიტორიაზე განთავსდეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ძეგლი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, ბატონები: კ.გურული, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, ბ.ბრეგაძე, ქალბატონი ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, კ.კუხიანიძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის **N 83 განკარგულების** პროექტში.

(„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021 – 2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N83** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრების მიერ გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „მინდა შევეხო, თბილისში გამართულ ქონების მართვის სააგენტოს პრეზენტაციას. ეს თემა გახდა განსჯის საგანი. ეს იყო შეხვედრა „USAID“- თან, სხვა დონორებთან და ბიზნეს კომპანიებთან. აუქციონზე გადის ყოფილი საკონსერვო ქარხნის საინვესტიციო პაკეტი. ასევე საუბრის თემა გახლდათ ქუთაისის მერიის შენობა. მინდა გითხრათ, რომ ეს არის ძირითადი ქონება, რომლის გასხვისებას საკრებულოს 2/3-ის თანხმობა სჭირდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „ჯერ კონსულტაცია უნდა გაგემართათ საკრებულოსთან, მოსახლეობასთან და მერე უნდა წასულიყავით თბილისში. გაგეგოთ ინვესტირებით მიღებული თანხა როგორ უნდა დაიხარჯოს. თბილისში, რომ წაბრძანდით და გამოაცხადეთ, მერიის შენობას ვყიდითო, კონსულტაციები უნდა გაგევლოთ აქ, ადგილზე. იდეაში არავინ არის წინააღმდეგი შენობის გასხვისებისა და ინვესტიციის შემოსვლის, მაგრამ როდესაც ტელევიზიით ვიღაც აკეთებს განცხადებას, იმ შენობასთან დაკავშირებით და იქ არავითარი კონსულტაცია არ გაუვლია, რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნები ჩნდება. ძალიან ბევრი შრომაა საჭირო და წინასწარი გარანტიები, ვინაიდან, გვეგონა ეს მოხდებოდა სახალხო მსჯელობის შედეგად, წინასწარ გაწერილი შეთანხმებების შედეგად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „მინდა მოსახლეობამ იცოდეს არსებული რეალობა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას სჭირდება საკრებულოს 2/3-ის მხარდაჭერა და ეს საკითხი საკრებულოს სხდომაზე არ გამოსულა განსახილველად, კარგად მოგეხსენებათ. ამიტომ, ნუ მოვატყუებთ მოსახლეობას. ჩვენ ვისარგებლეთ ამ დიდი ფორუმის საშუალებით და ვთხოვეთ პარტნიორებს, მათ შორის: „USAID“-ს, რომ დაეწყოთ ამ შენობის საინვესტიციო პაკეტის მაღალ დონეზე მომზადება. არავინ გაყიდის და არავინ აპირებს შენობის გასხვისებას. კარგად იცით, რომ თუ ეს შენობა გასხვისდება, შემოსული თანხა მოხმარდება მულტიფუნქციური შენობის მომზადებას. ძალიან გთხოვთ, მოსახლეობას ნუ მოვატყუებთ. რაც ჩვენია, ჩვენი იქნება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ გადაწყვეტილებას ვერავინ მიიღებს საკრებულოს გარეშე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-4 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრების გამო, საკრებულოს რიგგარეშე მე-4 სხდომის მუშაობა დასრულებულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-4 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:47:26 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.